- ✓ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) მიმდინარეობს მოლაპარაკება შეღავათიანი სესხისა და გრანტის ფარგლებში ახალი, 10 ერთეული ელექტრო და 20 ერთეული დიზელზე (ევრო 5) მომუშავე ავტობუსების შეძენასთან დაკავშირებით. პროექტის მთლიანი ღირებულება 7 000 000 ევროს შეადგენს. მათ შორის 1 500 000 არის გრანტი აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის პარტნიორობის ფონდიდან (E5P), ხოლო 5 500 000 შეღავათიანი სესხი EBRD-დან. ამჟამად ბანკის მიერ გამოყოფილი კონსულტანტისა და შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი"-ს მიერ მიმდინარეობს სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება აღნიშნული ავტობუსების შესყიდვასთან დაკავშირებით, რომლის დასრულებისა და ბანკის მიერ შეთანხმების შემდგომ, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პროცედურების შესაბამისად, გამოცხადდება საერთაშორისო ტენდერი. ტენდერის ჩატარებისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, განხორციელდება ავტობუსების მოწოდება, სავარაუდოთ 2018 წელს.
- ✓ დღეის მდგომარეობით ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში საქალაქო სამგზავრო გადაყვანებს ემსახურება 5 გადამზიდავი კომპანია, აქედან ერთი არის მუნიციპალური საწარმო;
- ✓ ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში ფუნქციონირებს 30 სამარშრუტო ხაზი მიკროავტობუსებისათვის და 15 სამარშრუტო ხაზი მუნიციპალური ავტობუსებისათვის;
- ✓ მუნიციპალური ავტობუსებისათვის განკუთვნილ 15 სამარშრუტო ხაზს ემსახურება 142 ერთეული მუნიციპალური ავტობუსი, კერძოდ: FAW-21 ერთეული (2012წ), ZONDA-101ერთეული (2008-2009წწ), BOGDAN-20 ერთეული (2004). აქედან ყოველდღიურად სამარშრუტო ხაზზე მოძრაობს 102 ერთეული მუნიციპალური ავტობუსი;
- ✓ რუსთაველის ქუჩაზე მუნიციპალური ავტობუსების 7 სამარშრუტო ხაზზე მოძრაობს 43 ავტობუსი, გორგილაძის ქუჩა 3 სამარშრუტო ხაზი 19 ავტობუსი, ჭავჭავაძის ქუჩა 4 სამარშრუტო ხაზი-35 ავტობუსი, ჩაქვი 1 სამარშრუტო ხაზი 5 ავტობუსი;
- ✓ მუნიციპალურ ავტობუსებს თვეში გადაყავს დაახლოებით 1 250 000 მგზავრი;
- ✓ კერძო გადამზიდავ კომპანიებს ერთობლივად თვეში გადაყავს დაახლოებით 1 500 00 მგზავრი;
- ✓ ჭავჭავაძის ქუჩაზე 14 სამარშრუტო ხაზზე ყოველდღიურად მოძრაობს 205 ერთეული მიკროავტობუსი, გორგილაძის ქუჩაზე 14 სამარშრუტო ხაზზე ყოველდღიურად მოძრაობს 202 ერთეული მიკროავტობუსი, ხოლო დარჩენილი ორი სამარშრუტო ხაზი მოძრაობს გორგასალისა და პუშკინის ქუჩებზე;
- ✓ მიკროავტობუსებისათვის განკუთვნილ 30 სამარშრუტო ხაზს ემსახურება 667 ერთეული მიკროავტობუსი, კერძოდ: FORD - (1997-1999), MERSEDES - (1997-2010). აქედან ყოველდღიურად სამარშრუტო ხაზზე მოძრაობს 424 ერთეული მიკროავტობუსი;
- ✓ წელიწადში ერთხელ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საქალაქო ტრანსპორტის განყოფილება ატარებს M2 კატეგორიის ავტობუსების დათვალიერებას ტექნიკური კრიტერიუმების შესაბამისად;
- ✓ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო ტრანსპორტის განყოფილება რეგულარულ რეჟიმში ახდენს სამარშრუტო ხაზებზე მოძრავი M2 კატეგორიის ავტობუსების მონიტორინგს სანებართვო პირობების შესაბამისად.